დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება

ქეთევან ცხვედაძე

ელ. ფოსტა: qcxvedadze@bk.ru

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1, ი. ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, 0179, საქართველო

ანოტაცია

დაცულ ტერიტორიებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. დაცული ტერიტორიების ეკოსისტემებს რიგი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები გააჩნიათ, ისინი წარმოადგენენ წყლის, საკვების, ენერგიის, რეკრეაციის, ფარმაცევტული მცენარეებისა და სხვა წყაროს. ეს ფუნქციები კი ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემების ფუნქციების შესრულება, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი გონივრული და მდგრადი მართვა. დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას კი წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართვა დაცული ტერიტორიების მართვაში.

დაინტერესებული მხარეების დაცული ტერიტორიების მართვაში ჩართვის აუცილებლობა აღიარებულია იმ მრავალი საერთაშორისო კონვენციით, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს (ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (CBD) დაცულ ტერიტორიებზე სამუშაო პროგრამა (PoWPA), სხვა). დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხი სუსტად, მაგრამ გარკვეულწილად წარმოდგენილია საქართველოს კანონში "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მომზადებულ საპროექტო დოკუმენტში "საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა" ერთ-ერთ მიზანს სწორედ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში, დაცული ტერიტორიების მართვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვისათვის არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკური ნება და ინსტიტუციური ჩარჩო, მაგრამ განხორციელების პროცესი სუსტია.

საქართველოში, მოსახლეობის დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება და შესაბამისად, საზოგადოების მონაწილეობის დაბალი ხარისხი დაცული ტერიტორიების დაგეგმვასა და მართვაში, ხშირად იწვევს მოსახლეობისა და დაცული ტერიტორიების ინტერესების გადაფარვას და ზოგ შემთხვევაში კონფლიქტს, რაც დაცული ტერიტორიების მართვაზე აისახება. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების მიმართ დაინტერესებულ მხარეთა პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთრების შეგრძნების აღქმა სუსტია. რთული მოსაგვარებელია ასევე რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტები. შესაბამისად, დაცულ ტერიტორიებზე ვერ ხდება ბიომრავალფეროვნების სრულფასოვანი კონსერვაცია, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა.

არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს დაცული ტერიტორიების მართვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა ახალი, ეფექტური და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვის გზით.

ჩვენი ნაშრომის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს დაცული ტერიტორიების მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები, მიაწოდოს ინფორმაცია და არსებული საერთაშორისო გამოცდილება დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების ჩართულობის შესახებ.